2020 წლის ინდივიდუალური

ფინანსური ანგარიშგება

შპს “პიაცა ჰოლდინგი”

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
მიმდინარე აქტივები:				
ფული და ფული ექვივალენტები	N 1	130 906	26 449	64 719
სავაჭრო მოთხოვნები	N 2	605 024	965 667	355 113
გადახდილი ავანსები			15 396	
სასაქონლო მარაგები				640
სხვა მიმდინარე აქტივები		9 759		82 364
მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს მიმართ – აგრო	N 2	75 151	75 151	
მთლიანი მიმდინარე აქტივები		**820 839**	**1 082 663**	**502 836**
ძირითადი საშუალებები:				
ძირითადი საშუალებები	N 3	21 882 466	22 279 660	22 248 702
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		11 994	11 994	11 994
მთლიანი ძირითადი საშუალებები		**21 894 460**	**22 291 654**	**22 260 696**
მთლიანი აქტივები	შენიშვნა	22 715 299	23 374 317	22 763 532
ვალდებულებები და კაპიტალი				
მიმდინარე ვალდებულებები:	N 4			
სავაჭრო ვალდებულებები		6 641	3 483	
გადასახდელი ხელფასები		512		
საგადასახადო ვალდებულებები		89 009	23 880	30 239
სხვა ვალდებულებები		495 260		
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები		**591 421**	**27 363**	**30 239**
გრძელვადიანი ვალდებულებები:				
გრძელვადიანი სესხები	N 5	33 023 817	27 865 793	25 589 054
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები		***33 023 817***	***27 865 793***	***25 589 054***
მთლიანი ვალდებულებები		***33 615 239***	***27 893 156***	**25 619 293**
კაპიტალი:				
საკუთარი კაპიტალი		4 653 923	4 653 923	4 653 923
გაუნაწილებელი მოგება		(15 553 862)	(9 172 763)	(7 509 684)
მთლიანი კაპიტალი		***(10 899 939)***	***(4 518 840)***	***(2 855 761)***
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		22 715 299	23 374 317	22 763 532

დირექტორი **მთავარი ბუღალტერი**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
მიმდინარე აქტივები:				
ფული და ფული ექვივალენტები	N 1	130 906	26 449	64 719
სავაჭრო მოთხოვნები	N 2	605 024	965 667	355 113
გადახდილი ავანსები			15 396	
სასაქონლო მარაგები				640
სხვა მიმდინარე აქტივები		9 759		82 364
მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს მიმართ – აგრო	N 2	75 151	75 151	
მთლიანი მიმდინარე აქტივები		820 839	1 082 663	502 836
ძირითადი საშუალებები:				
ძირითადი საშუალებები	N 3	21 882 466	22 279 660	22 248 702
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		11 994	11 994	11 994
მთლიანი ძირითადი საშუალებები		21 894 460	22 291 654	22 260 696
მთლიანი აქტივები	**შენიშვნა**	**22 715 299**	**23 374 317**	**22 763 532**
ვალდებულებები და კაპიტალი				
მიმდინარე ვალდებულებები:	N 4			
სავაჭრო ვალდებულებები		6 641	3 483	
გადასახდელი ხელფასები		512		
საგადასახადო ვალდებულებები		89 009	23 880	30 239
სხვა ვალდებულებები		495 260		
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები		591 421	27 363	30 239
გრძელვადიანი ვალდებულებები:				
გრძელვადიანი სესხები	N 5	33 023 817	27 865 793	25 589 054
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები		*33 023 817*	*27 865 793*	*25 589 054*
მთლიანი ვალდებულებები		*33 615 239*	*27 893 156*	25 619 293
კაპიტალი:				
საკუთარი კაპიტალი		4 653 923	4 653 923	4 653 923
გაუნაწილებელი მოგება		(15 553 862)	(9 172 763)	(7 509 684)
მთლიანი კაპიტალი		*(10 899 939)*	*(4 518 840)*	*(2 855 761)*
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		**22 715 299**	**23 374 317**	**22 763 532**

დირექტორი **მთავარი ბუღალტერი**

საქმიანობის შედეგები

		31.12.2020	31.12.2019
შემოსავლები:	შენიშვნა		
მთლიანი გაყიდვები	N 6	1 010 089	2 779 749
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:			
წმინდა გაყიდვები		1 010 089	2 779 749
საერთო მოგება		*1 010 089*	*2 779 749*

საოპერაციო ხარჯები	N 7		
ხელფასები		24 000	36 013
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		253 672	593 810
მთლიანი საოპერაციო ხარჯები		*277 672*	*629 822,94*
საოპერაციო მოგება		*732 417*	*2 149 925,92*

არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი	N 8		
ცვეთა და ამორტიზაცია		480 107	466 517
კურსთაშორისი სხვაობიდან ზარალი		5 167 316	1 414 971
საპროცენტო ხარჯი		1 466 094	1 859 209
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი			
სხვა არასაოპერაციო ხარჯი			72 308
მოგების გადასახადი			
დივიდენდი			

წმინდა მოგება (ზარალი)		*(6 381 100)*	*(1 663 079)*

დირექტორი **მთავარი ბუღალტერი**

საქმიანობის შედეგები

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
შემოსავლები:	N 6		
მთლიანი გაყიდვები		1 010 089	2 779 749
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:		1 010 089	2 779 749
წმინდა გაყიდვები		*1 010 089*	*2 779 749*
საერთო მოგება			
საოპერაციო ხარჯები	N 7		
ხელფასები		24 000	36 013
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		253 672	593 810
მთლიანი საოპერაციო ხარჯები		*277 672*	*629 822,94*
საოპერაციო მოგება		*732 417*	*2 149 925,92*
არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი	N 8		
ცვეთა და ამორტიზაცია		480 107	466 517
კურსთაშორისი სხვაობიდან ზარალი		5 167 316	1 414 971
საპროცენტო ხარჯი		1 466 094	1 859 209
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი			
სხვა არასაოპერაციო ხარჯი			72 308
მოგების გადასახადი			
დივიდენდი			
წმინდა მოგება (ზარალი)		*(6 381 100)*	*(1 663 079)*

მთავარი ბუღალტერი

დირექტორი

ფულადი სახსრების მოძრაობა

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		6 853 519,18	(2 284 051,69)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(115 653,00)	(30 958,00)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(1 466 093,78)	2 276 739,69
სავალუტო კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(5 167 315,68)	
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		**104 456,72**	**(38 270,00)**
ფული და ფულის ეკვივალენტების წლის დასაწყისში		**26 449,00**	**64 719,00**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		**130 905,72**	**26 449,00**

დირექტორი **მთავარი ბუღალტერი**

ფულადი სახსრების მოძრაობა

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		6 853 519,18	(2 284 051,69)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(115 653,00)	(30 958,00)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(1 466 093,78)	2 276 739,69
სავალუტო კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(5 167 315,68)	
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		104 456,72	(38 270,00)
ფული და ფულის ეკვივალენტების წლის დასაწყისში		26 449,00	64 719,00
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		130 905,72	26 449,00

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შპს პიაცა ჰოლდინგი (ს/კ 445395626) ჩამოყალიბდა 2011 წლის 22 თებერვალს, საზოგადოების დამფუძნებელია, , ირაკლი სამხარაძე 63№6754466, რუსეთის ფედერაცია. ამჟამინდლი მდგომარეობით საზოგადოების მფლობელია CHE-400.526.675, სს ჰეგან სა, შვეიცარია - 100% წილის მფლობელი. საზოგადოებაზე წარმომადგენლობა დირექტორი - ირაკლი კანდელაკი პ/ნ 61001021842, დირექტორი - , გიორგი გოჩა ჭიღლაძე, 511114361 დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო

საზოგაოების ძირითდ საქმიანობას წარმოადგენს:

- უძრავი ქონების ფლობა და მისი იჯარით გაცემა
- უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები
- უძრავი და მოძრავი ქონებასთან დაკავშირებული ფინანსური, სამრეწველო და სავაჭრო ოპერაციები

საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა მათი ინტერპრეტირება განსხვავდება და ისინი ხშირი ცვლილებების საგანს წარმოადგენენ, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის. ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკა

წარდგენის საფუძვლები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში "მსს ფასს"), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების "მსს ფასს-ზე გადასვლა"-ფარგლებში).

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით. ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა (იქნება) გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული. ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები, რომლებშიც ასახულია ფინანსურიფინანსური ანგარიშგების კომპონენტები

ფინანსური ანგარიშგების პაკეტი მოიცავს:

1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშს (ბალანსი);
2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშს
3. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშს
4. ახსნა-განმარტებით შენიშვნებს

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, საზოგადოება იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) რომელის მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკორექტირებული) ფასებით;
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით);

- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბზრო მონაცემები).

<u>საანგარიშგებო პერიოდი</u>

ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდია 2020 კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

<u>შეფასებისა და წარდგენის ვალუტა</u>

ინტერპრეტაციების მუდმივმა კომიტეტმა (შემდგომში – იმკ) საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის შემადგენლობაში მიიღო იმკ–19 „ანგარიშგების ვალუტა: ფინანსური ანგარიშგების შეფასება და წარდგენა ბასს-21 და ბასს-29–ის შესაბამისად“. წინამდებარე ინტერპრეტაციით განსაზღვრულია, რომ შეფასების ვალუტა უნდა ატარებდეს სასარგებლო ინფორმაციას, რომელიც ასახავს ორგანიზაციასთან დაკავშირებული მოვლენებისა და გარემოებების ეკონომიკურ არსს. თუ გარკვეული ვალუტა არსებითად ხშირად გამოიყენება ორგანიზაციის მიერ ან ამ ვალუტას მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, მიზანშეწონილია, სწორედ იგი გამოიყენებოდეს, როგორც შეფასების ვალუტა.

თავის ოპერაციებში ორგანიზაცია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ორგანიზაციის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ორგანიზაცია იყენებს ქართულ ლარს.

<u>სავაჭრო მოთხოვნები</u>

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და შეიცავს მარაგების შეძენის, ტრანსპორტირების და დასაწყობების ხარჯებს. შეფასებით გასაყიდი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო გასაყიდი ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია დასრულებისა და გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს აქტივების შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა

და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

<u>სავაჭრო ვალდებულებები</u>

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

<u>ბანკის სესხები და ოვერდრაფტები</u>

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში ამორტიზირებული ხარჯით აისახება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

<u>იჯარა</u>

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში

გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

<u>ძირითადი საშუალებები</u>

ძირითადი საშუალება აღიარდება ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების მთელ პერიოდზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით.აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- შენობა-ნაგებობები 25-50 წელი
- მოწყობილობა-დანადგარები 10-15 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები 7-15 წელი
- კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა 5-10 წელი
- ავეჯი 12-18 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები 5-10 წელი

<u>აქტივების გაუფასურება</u>

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს აქტივების შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო

ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

<u>სავაჭრო ვალდებულებები</u>

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

<u>შემოსავლები და ხარჯები</u>

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამომუშავებული, მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა, ან სხვა ეკონომიური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აისახება წმინდა ღირებულებით. ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება,

მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა; შემოსავლები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მისი წყაროების მიხედვით; ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით;

<u>გადასახადი</u>

გადასახადების გაანგარიშება და გადახდა განხორციელდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, და აისახა ანგარიშგებაში საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად. საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები გათვალისწინებულია ეკონომიკური საქმიანობის უფლების მქონე ერთეულების მიერ აქტივების და ვალდებულებების შეფასებისას.

<u>მოგების გადასახადი</u>

საზოგადეობა მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან. საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება. საზოგადოება საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

<u>კაპიტალი</u>

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ქონებას, რომლებიც ადასტურებენ საზოგადოების აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ქონება კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის და შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენები

ფიანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის და შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის შესახებ, ასახულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები ასევე დამატებით მოიცავს ისეთ ინფორმაციებს, რომლებიც არაფინანსური ხასიათისაა და არ არის არც ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შემადგენელი ნაწილი, თუმცა, საჭიროა ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური ხასიათის ინფორმაციის ასახსნელად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრძელვადიან და მოკლევადიან მუხლებად და სტრუქტურა შედგენილია ლიკვიდობის კლებადობის მიხედვით. აქტივები ძირითადად შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით.

1. ### ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და ნაღდ ფულს სალაროში. ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო ანგარიშზე და სალაროში ერიცხება 130,906 ლარი.

აქტივები	31.12.2020	31.12.2019
ფული და ფული ექვივალენტები	130 906	26 449
სულ	130 906	26 449

2, ფინანსური აქტივები და მოთხოვნები

ფინანსური აქტივები და მოთხოვნები შეფასებულია ნომინალური ღირებულებით. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები უმეტესწილად წარმოქმნილია წინასწარი გადახდებით ბიუჯეტიდან და გაწეული მომსახურების შედეგად. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები წარმოდგენილია მოკლევადიანი ფინანსური აქტივების და მოთხოვნების სახით. ფინანსური აქტივის მიღების ან გასვლის ღირებულებას წარმოადგენს მისი გაცვლის ღირებულება.

მოთხოვნებს და დებიტორულ დავალიანებებს მონაცემთა ბაზის მიხედვით გააჩნია შემდეგი სტრუქტურა: დებიტორების აღრიცხვის ჟურნალში აღირიცხება ანალიზური აღრიცხვის მიზნებისათვის დებიტორი ორგანიზაციების დასახელებები, დებიტორული დავალიანების წარმოშობის წლები.

დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები

	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო მოთხოვნები	605 024	965 667
გადახდილი ავანსები		15 396
მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს მიმართ	75 151	75 151
სულ	680 175	1 056 214

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

3. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სულ
31 დეკემბერი 2018 წელი	716 457	21 198 960	76 494	256 791	22 248 702
შეძენა		823 486			823 486
გაყიდვა		(334 419)			(334 419)
მიმდინარე ცვეთის ხარჯი		(419 364)	(7 650)	(31 155)	(458 169)
31 დეკემბერი 2019 წელი	716 457	21 268 663	68 844	225 636	22 279 600
შეძენა			115 653		
გაყიდვა					
მიმდინარე ცვეთის ხარჯი		(460 356)	(12 239)	(40 192)	(512 787)
31 დეკემბერი 2020 წელი	716 457	20 808 307	172 258	185 444	21 882 466
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	**716 457**	**21 198 960**	**76 494**	**256 791**	**22 248 702**
2019 წლის 31 დეკემბერს	**716 457**	**21 268 663**	**68 844**	**225 636**	**22 279 600**
2020 წლის 31 დეკემბერს	**716 457**	**20 808 307**	**172 258**	**185 444**	**21 882 466**

4. ვალდებულებები

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის გადახდილი თანხების ღირებულებას. ვალდებულებები, რომელთა გადახდის ვადა 1 წელზე მეტია, კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ვადაგადაცილებულ

დავალიანებებზე (კრედიტორული დავალიანებები, რომელიც არ არის დაფარული ანგარიშგების თარიღისთვის) 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერიცხება 23,880 ლარის კრედიტორული დავალიანება.

	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო მოთხოვნები	605 024	965 667
გადახდილი ავანსები		15 396
მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს მიმართ	75 151	75 151
სულ	680 175	1 056 214

5. გრძელვადიანი სესხები

გრძელვადიანი ვალდებულებები წარმოდგენილია გრძელვადიანი სესხების სახით და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 25 589 054

	31.12.2020	31.12.2019
გრძელვადიანი სესხები	33 023 817	27 865 793
სულ	33 023 817	27 865 793

მოგება ზარალის ანგარიშგება

შემოსავლების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ მთლიანი ეკონომიკური შემოსავლები პერიოდის განმავლობაში წარმოიშობა ორგანიზაციის ჩვეული საქმიანობის პირობებში, მათი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, და ამ ოპერაციის შედეგად იზრდება საკუთარი კაპიტალი, მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტირების გარეშე.

6, შემოსავალი

		31.12.2020	31.12.2019
შემოსავლები:	შენიშვნა		
მთლიანი გაყიდვები	N 8	1 010 089	2 779 749
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:			
წმინდა გაყიდვები		1 010 089	2 779 749
საერთო მოგება		*1 010 089*	*2 779 749*

ხარჯების აღიარება

ორგანიზაცია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

7. საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები	N 7	31.12.2020	31.12.2019
ხელფასები		24 000	36 013
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		253 672	593 810
მთლიანი საოპერაციო ხარჯები		*277 672*	*629 822,94*

8 არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი

არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი	N 8	31.12.2020	31.12.2019
ცვეთა და ამორტიზაცია		480 107	466 517
კურსთაშორისი სხვაობიდან ზარალი		5 167 316	1 414 971
საპროცენტო ხარჯი		1 466 094	1 859 209
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი			
სხვა არასაოპერაციო ხარჯი			72 308
წმინდა მოგება (ზარალი)		*(6 381 100)*	*(1 663 079)*

კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს შესაბამისი კაპიტალის ბაზა, რომელიც დააკმაყოფილებს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიულ საჭიროებებს და უზრუნველყოფს ბაზრის მონაწილეთა ნდობის შენარჩუნებას. ეს მიიღწევა ფულადი ნაკადების ეფექტური მართვით, კომპანიის შემოსავლებისა და მოგების, ასევე გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების მუდმივი მონიტორინგის გზით, რომლებსაც კომპანია ძირითადად საოპერაციო ფულადი ნაკადებით, გრძელვადიანი სესხების და კრედიტების საშუალებით აფინანსებს. ზემოთხსენებულის გათვალისწინებით კომპანია ორიენტირებულია მოგების მდგრად ზრდაზე. წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია კაპიტალის მართვის მიდგომა.

ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

ხელმძღვანელობას აქვს სრული პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე და ის პასუხს აგებს კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკების შემუშავებასა და მონიტორინგზე და მისი საქმიანობის შესახებ აქციონერებისთვის რეგულარულ ანგარიშგებაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განსაზღვრულია მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება, ბაზრის პირობებსა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. ტრენინგებისა და მართვის სტანდარტებისა და პროცედურების გამოყენებით, კომპანია მიზნად ისახავს განავითაროს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული აქვს თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

საოპერაციო საქმიანობის განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო მოთხოვნები გაუფასურებული არ არის. კომპანია არ ითხოვს უზრუნველყოფას საკრედიტო მოთხოვნებთან მიმართებაში, რადგან ეს არის მოკლევადიანი მოთხოვნები. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანია არ დგას სესხთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის წინაშე. კომპანია არ მოელის, რომ საწარმო ვერ დააკმაყოფილებს ნაკისრ ვალდებულებებს.
- ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. კომპანიის მიდგომა ლიკვიდურობის მართვაზე მდგომარეობს იმაში, რომ შესაძლებლობის ფარგლებში მას ყოველთვის ჰქონდეს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულების ვადაში დასაფარად, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდებში, მიუღებელი დანაკარგებისა ან კომპანიის რეპუტაციაზე ზიანის მიყენების გარეშე.

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლით კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

კომპანია საბაზრო რისკების სამართავად იყენებს ფინანსურ ვალდებულებებს. კომპანია არ იყენებს საბუღალტრო ჰეჯირების მეთოდს მოგებაში ან ზარალში არასტაბილურობის სამართავად.

<u>საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები</u>

2020 წლის მარტის თვეში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი (COVID-19) გლობალურ პანდემიად გამოაცხადა. არსებობს პანდემიით გამოწვეული გლობალური შენელების მასშტაბების და ქართულ ეკონომიკაზე მისი გავლენის განსაზღვრასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა. პირველად COVID-19-ით ინფიცირების ფაქტი დაავადებათა კონტროლისეროვნულმა ცენტრმა 2020 წლის თებერვალში დაადასტურა. საქართველოს მთავრობამ გაატარა კორონავირუსის გავრცელების შემაკავებელი რამდენიმე ღონისძიება, რომლებსაც

მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური გავლენა ჰქონდა. კომპანია აკონტროლებს კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების გავლენას მის საქმიანობაზე, კლიენტებსა და თანამშრომლებზე და იცავს საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ყველა ოფიციალურ სახელმძღვანელო მითითებას, რათა დაიცვას თავისი ხალხი და უზრუნველყოს საქმიანობის უწყვეტობა. 2020 წლის მარტის დასაწყისის შემდეგ კომპანიის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა კომპანიას საშუალება მისცა შეეცვალა მისი ყოველდღიური საქმიანობა მიმდინარე უპრეცედენტო საოპერაციო გარემოსთან მოსარგებად და ამავდროულად, თანამშრომლებისა და კლიენტების ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად. მოსალოდნელია, რომ COVID-19-ის გავრცელებას საქართველოსა და გლობალურად უარყოფითი გავლენა ექნება ეკონომიკაზე, თუმცა ძალიან ადრეა იმისათვის, რომ სრულად გავიაზროთ ის გავლენა, რომელიც შესაძლოა ჰქონდეს ვირუსს კომპანიის საქმიანობაზე. ჯგუფი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებას საბალანსო უწყისის შემდგომ შეუცვლელ მოვლენად მიიჩნევს. კომპანიის ხელმძღვანელობა განაგრძობს ყოველდღიური ვითარების მონიტორინგს და ის შესაბამისად მოქმედებს. კომპანიის გრძელვადიანი მიზნები უცვლელი რჩება

<u>მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები</u>

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას საზოგადოებამ გააკეთა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, რომლებსაც ზეგავლენა აქვთ გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებზე, ხარჯებსა და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე. საზოგადოება პერიოდულად ამოწმებს ასეთ შეფასებებს და დაშვებებს, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი მოიცავს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ხელთ არსებულ ყველა სათანადო ინფორმაციას. თუმცა, ეს არ გამორიცხავს რეალური ციფრების შეფასებულ მონაცემებთან განსხვავებულობის ფაქტს.

<u>სამართლიანი ღირებულების გაანგარიშება</u>

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის კომპანიის ზოგი აქტივი და ვალდებულება აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი

ღირებულების გამოსათვლელად, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ არ არის ხელმისავდომი პირველი დონის მონაცემები, კომპანია მჭიდროდ თანამშრომლობს გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან, რომლებიც ახორციელებენ შეფასებას დადგენილი შესაფერისი შეფასების ტექნიკებზე და მოდელისთვის საჭირო ინფორმაციაზე დაყრდნობით (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენება, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზი). შემფასებლების მიერ ამგვარად განსაზღვრული ფასები კომპანიის მიერ გამოიყენება კორექტირების გარეშე. ასეთი შეფასებებისთვის კომპანიამ შეფასების სხვადასხვა მეთოდოლოგიებიდან უნდა გააკეთოს არჩევანი და გამოთვალოს მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადები და დისკონტირების განაკვეთები.

დირექტორი **მთავარი ბუღალტერი**

ღირებულების გამოსათვლელად, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ არ არის ხელმისავდომი პირველი დონის მონაცემები, კომპანია მჭიდროდ თანამშრომლობს გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან, რომლებიც ახორციელებენ შეფასებას დადგენილი შესაფერისი შეფასების ტექნიკებზე და მოდელისთვის საჭირო ინფორმაციაზე დაყრდნობით (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენება, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზი). შემფასებლების მიერ ამგვარად განსაზღვრული ფასები კომპანიის მიერ გამოიყენება კორექტირების გარეშე. ასეთი შეფასებებისთვის კომპანიამ შეფასების სხვადასხვა მეთოდოლოგიებიდან უნდა გააკეთოს არჩევანი და გამოთვალოს მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადები და დისკონტირების განაკვეთები.

დირექტორი	მთავარი ბუღალტერი